ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ივერიელი

დაარსდა 1921 წელს

20 ივნისი ხუთშაბათი 1991 № 71 (11704)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

მიმართვა

შავი ზღვის აუზის და შავი ზღვის პრობლემით დაინტერესებული ქვეყნების მთავრობათა მეთაურებს

შავი ზღვა წარმოადგენს პლანეტის უდიდეს, უნიკალურ მერომიქტიკულ წყალსატევს, რომლის 90 პროცენტს შეადგენს უჟანგბადო გოგირდწყალბადიანი წყლის მასა. ზღვის ფსკერზე მიმდინარეობს მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების — „გვამების წვიმის" — ინტენსიური დალექვა, რის შედეგადაც გოგირდწყალბადის შემცველობა განუწყვეტლივ მატულობს. მდგომარეობას ამწვავებს ის, რომ საწარმოო და ფეკალური წყლები ჩაედინება შავ ზღვაში.

გოგირდწყალბადის ფენის ზედაპირი გუმბათოვანია, რომლის უმაღლესი წერტილის დაშორება ზღვის ზედაპირიდან მის ცენტრალურ ნაწილში აღწევს კრიზისულ ზღვარს — 50 მეტრს. მიახლოებითი შეფასებით გოგირდწყალბადის რაოდენობა შეადგენს — 2 მილიარდამდე ტონას. არსებობს მისი აფეთქების რეალური საშიშროება — აფეთქების შედეგად გამოწვეული ნგრევით მიყენებული ზარალი მრავალჯერ გადააჭარბებს ჩერნობილის კატასტროფას და დამღუპველად იმოქმედებს არა მარტო შავი ზღვისპირეთის, არამედ მთლიანად პლანეტის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

შავი ზღვის წყლის გაწმენდის შედეგად შეიძლება მივიღოთ და სასიკეთოდ გამოვიყენოთ ძვირფასი ქიმიური ნივთიერებები, მათ შორის გოგირდი და წყალბადი, რომელთა მარაგი შესაბამისად 1,8 და 0,1 მილიარდ ტონას შეადგენს (ტონა გოგირდის ფასი საერთაშორისო ბაზარზე დაახლოებით 1000 დოლარს შეადგენს), ასევე 7,6 მილიარდი ტონა საწვავი გაზი. მისი აღდგენითი ნაწილი — დაახლოებით 75 მილიონი ტონა — საკმარისია იმისათვის, რომ ყოველწლიურად თბოელექტროსადგურმა მოგვცეს 80 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

შავი ზღვის აუზის და შავი ზღვის პრობლემით დაინტერესებული ქვეყნების მთავრობათა მეთაურებს მოგმართავთ თანამშრომლობისათვის — შემოგვაქვს წინადადება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან შეიქმნას შავი ზღვის აუზის ეკოლოგიური გარემოს დამცავი სპეციალიზებული სამთავრობათაშორისო დაწესებულება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა უზრუნველყოფს გაეროს სპეციალიზებული სამთავრობათაშორისო დაწესებულების წევრ სახელმწიფოებისათვის კეთილსასურველ სამუშაო პირობებს და კისრულობს მისი შტაბ-ბინის მოწყობას.

საქართველოს მთავრობა გამოთქვამს რწმენას, რომ აღნიშნული წინადადებები განხილული იქნება.

ზვიად გამსახურდია

თანაგრძნობისა და მხარდაჭერის დეპეშები

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს თენგიზ იპოლიტეს ძე სიგუას

რუსეთის მთავრობის სახელით საქართველოს რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას დიდ თანაგრძნობას ვუცხადებ რესპუბლიკაზე თავს დატეხილი სტიქიური უბედურების — დამანგრეველი მიწისძვრის გამო, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა.

რუსეთის სფს რესპუბლიკის მთავრობა მზად არის ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს ხალხს. რუსეთის მაშველთა კორპუსს შეუძლია ნებისმიერ მომენტში გამოგზავნოს თავისი რაზმი ოპერატიული დახმარების გასაწევად.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ი. სილაევი.
საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ბატონ თენგიზ სიგუას

პატივცემულო ბატონო სიგუა, დიდად ვუთანაგრძნობთ 1991 წლის 15 ივნისს მიწისძვრის დროს დაღუპულთა ნათესავებსა და ახლობლებს. მზად ვართ ყოველნაირი დახმარება გაგიწიოთ სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციაში.

სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე
ვაზგენ მანუკიანი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

მიმართვა

საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოს

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობამ, პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, მოაწყო მრავალპარტიული არჩევნები, რის შედეგადაც ხელისუფლებაში მოვიდნენ ეროვნული ძალები. მათი ძალისხმევით 1991 წლის 9 აპრილს აღდგა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. აღნიშნული ამბებისადმი საბჭოთა ოფიციალური პრესის დამოკიდებულება აშკარად მტრული იყო, რასაც კიდევ უფრო გაამწვავებული ხასიათი მიეცა 1991 წლის 26 მაისის შემდეგ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ აირჩია რესპუბლიკის პრეზიდენტი. ამის მკაფიო დასტურია საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს ბეჭდვით ორგანოში, გაზეთ „იზვესტიის" 1991 წლის 13 ივნისის ნომერში დაბეჭდილი წერილი „საქართველო, 1991 წლის ზაფხული". ეს არა მარტო სიყალბეა, არამედ მთელი საქართველოს და მისი კანონიერი პრეზიდენტის აშკარა შეურაცხყოფაა. სწორედ ამის გამო გამომცემლობა „სამშობლოს" მუშებმა უარი თქვეს „იზვესტიის" დაბეჭდვაზე. ჩვენი მხრივ, გამოვთქვამთ მკაცრ პროტესტს და მოგიწოდებთ ხელი აიღოთ ცივილიზებული საზოგადოებისათვის შეუფერებელ მსგავს მოქმედებაზე. სადავო არ უნდა იყოს, რომ პრესა ლვარძლსა და შფოთს კი არ უნდა თესავდეს სახელმწიფოთა ურთიერთობაში, არამედ, პირიქით, ჰუმანისტური მიზანდასახულობით ილვწოდეს ამ ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

აკაკი ასათიანი,
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დანიშნა **ზურაბ მიხეილის ძე გეგეჭკორი** საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის პირველ მოადგილედ.

საქინფორმი.

ყოჩაღ, კაპიტანო!

ბათუმის ნავსადგურში პირველად შემოვიდა საბჭოთა გემი, რომლის ანძაზე ფრიალებდა საქართველოს რესპუბლიკის დროშა.

ჯერ კიდევ ნეიტრალურ წყლებში ყოფნისას, შავი ზღვის სანაოსნო, მშრალტვირთიანი გემის „მეხანიკ ტრენის" კაპიტანმა ვსევოლოდ ფილატოვმა ბათუმის ნავსადგურის კაპიტნის სამსახურს გაუგზავნა რადიოგრამა, რომელშიც ითხოვდა ლოცმანთან ერთად გამოეგზავნათ საქართველოს ეროვნული დროშა. გამოცდილმა მეზღვაურმა, შორეული ნაოსნობის კაპიტანმა ოდესელმა ვსევოლოდ ფილატოვმა ამ ჟესტით გამოხატა თავისი მადლიერება და პატივისცემა დემოკრატიული საქართველოსადმი.

ნავსადგურში სტუმრებს ტაშით შეხვდნენ. ჰაერში აიჭრა მტრედების გუნდი.

— ყველა რესპუბლიკა უნდა იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი, — თქვა ბატონმა ვ. ფილატოვმა. — მოხარული ვარ, რომ წილად მხვდა პატივი პირველად აღმემართა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა, რესპუბლიკისა, რომლისთვისაც ჩამოვიტანეთ ხორბალი ავსტრალიიდან.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ბატონო კაპიტანო! თქვენი მაგალითი მისაბაძია.

თამაზ გეწაძეხაძე,
საქინფორმის კორ.

საერთაშორისო ცხოვრება

რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი შეერთებულ შტატებს ეწვია ამერიკის კონგრესის ლიდერთა მოწვევით. ვაშინგტონში ჩასვლისას ჟურნალისტებთან საუბარში ელცინმა განაცხადა, რომ სურს პირდაპირი დიალოგის დაწყება რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის. როგორც მისი თანაშემწეები ამბობენ, ვიზიტის დროს ის არ აპირებს სესხის ან კრედიტების თხოვნით მიმართოს ამერიკელებს, არამედ შეეცდება მიაღწიოს ორმხრივად სასარგებლო ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას.

დღეს რუსეთის პრეზიდენტი ხვდება ჯორჯ ბუშს, ვიცე-პრეზიდენტ დენ კუეილს, ასევე თავდაცვის მინისტრს რიჩარდ ჩეინის და ვაჭრობის მინისტრს რობერტ მოსბაჩერს. ხვალ ის ნიუ-იორკს ეწვევა და შეხვდება ამერიკის ფინანსური და საქმიანი წრეების წარმომადგენლებს.

●

ბერლინში დაიწყო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ანუ ჰელსინკის პროცესის მონაწილე 34 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების ორდღიანი შეხვედრა, რომელიც ევროპის პოლიტიკურ მომავალს ეძღვნება.

კონფერენციის გახსნის წინა დღეს აშშ სახელმწიფო მდივანმა ჯ. ბეიკერმა წამოაყენა ახალი ტრანსატლანტიკური თანამეგობრობის შექმნის იდეა, რომელიც გავრცელდება ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე და მოუწოდა საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, შევიდნენ ამ თანამეგობრობაში.

თავის გამოსვლაში ჯ. ბეიკერმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპისათვის დახმარების გაწევას — ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში სერიოზული რეფორმების გასატარებლად, სანამ ევროპის სტაბილურობას საფრთხე დაემუქრება, რადგან კომუნიზმის კრახმა, მისი თქმით, გამოიწვია ეთნიკური კონფლიქტებისა და ნაციონალიზმის აღორძინება.

ბერლინის თათბირის რამდენიმე სხდომაში მონაწილეობას მიიღებენ ბალტიის რესპუბლიკები. ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. მერი თათბირს ეწვევა შვეციის დელეგაციასთან ერთად, მისი ლიტველი კოლეგა ა. საუდარგასი დანიის, ხოლო ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. იურკანსი ნორვეგიის ან ისლანდიის წარმომადგენლებთან ერთად.

●

ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა განაცხადა, რომ ვარშავის ხელშეკრულება ოფიციალურად შეწყვეტს არსებობას 1 ივლისს. ამ დღეს პრაღაში ჩატარდება ამ ორგანიზაციის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომა, რომელზედაც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას ოფიციალურად დაითხოვენ.

●

იუგოსლავიის რესპუბლიკა. ხორვატიის პარლამენტმა დაიწყო დებატები მიმდინარე თვეში ფედერაციიდან მისი გამოსვლის საკითხზე. შეგახსენებთ, რომ ამას წინათ ჩატარებულ რეფერენდუმში ამ რესპუბლიკის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ფედერაციიდან გასვლას. ხორვატიას სურს იუგოსლავიის სხვა რესპუბლიკებთან ერთად უფრო თავისუფალი კონფედერაციის შექმნა, თუმცა ამ იდეას ჯერჯერობით მხოლოდ სლოვენია უჭერს მხარს.

პარლამენტმა უნდა განიხილოს ხორვატიის საკუთარი არმიის და ვალუტის შექმნის საკითხი. როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტი აღნიშნავს, საეჭვოა. რომ ხორვატიამ გამოიყენოს საკუთარი ვალუტა, რაც შეეხება საერთაშორისო აღიარებას, სხვა ქვეყნები ამას არ ჩქარობენ. პირიქით, ევროპის თანამეგობრობის წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს ერთიანობისკენ მოუწოდონ იუგოსლავიის რესპუბლიკებს, სანამ ხორვატია და სლოვენია კიდევ უფრო მტკიცე ნაბიჯებს განახორციელებენ დამოუკიდებლობის გზაზე.

●

დღეს გერმანიის ბუნდესტაგმა (პარლამენტმა) უნდა გადაწყვიტოს, დარჩება გერმანიის მთავრობა ბონში, თუ უნდა გადავიდეს ბერლინში. გასულ წელს ხელმოწერილი შეთანხმებით გერმანიის გაერთიანების შესახებ ქვეყნის დედაქალაქად ოფიციალურად გამოაცხადა ბერლინი, თუმცა მთავრობის ადგილსამყოფელი უნდა განსაზღვროს გერმანიის პარლამენტმა.

ირინა თევდორაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებები

რესპუბლიკის სხვადასხვა ხელმძღვანელ პოსტებზე დანიშვნის შესახებ. დღეს

გთავაზობთ მათ პორტრეტებსა და ბიოგრაფიულ ცნობებს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი

გურამ ვალიკოს ძე აბსანძე



დაიბადა 1952 წელს, ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში, კოლმეურნის ოჯახში. 1974 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი სპეციალობით „ფინანსები და კრედიტი“, ხოლო 1988 წელს — სოფლის მეურნეობის მართვის უმაღლესი ეკონომიკური სკოლა, 1982 წელს — სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტის უმაღლესი ეკონომიკური კურსები.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1975 წელს. 1975-77 წლებში მუშაობდა ზუგდიდის რაიონის ფინანსთა განყოფილებაში უფროს ეკონომისტად. 1978 წლიდან მუშაობს მოსკოვში სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში, სადაც განვლო გზა უფროსი ეკონომისტიდან სამინისტროს განყოფილების უფროსამდე. 1984 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გადმოიყვანეს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ადგილობრივი მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დაფინანსების სამმართველოს უფროსად. 1987 წელს დაინიშნა სამინისტროს ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს დაფინანსების სამმართველოს უფროსად. 1988 წელს აირჩიეს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსად.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს ფინანსების კურსს.

1990 წლის 22 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრად.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი

ელიზბარ დიმიტრის ძე ჯაველიძე



ელიზბარ დიმიტრის ძე ჯაველიძე დაიბადა 1938 წლის 15 დეკემბერს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში, 1961 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1961 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. 1966 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1975 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1968 წლიდან ლექციებს კითხულობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის თურქოლოგიის კათედრის პროფესორი. 1988 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1991 წლიდან აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტია.

1986-87 წლებში ალმანახ „კრიტიკის“ მთავარი რედაქტორი იყო. 1987 წლიდან დღემდე — გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი.

გამოქვეყნებული აქვს 8 მონოგრაფია და 80 სამეცნიერო სტატია.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი

ანზორ მიხეილის ძე ჭლიკაძე

დაიბადა 1945 წელს ქ. ქუთაისში. ქართველია. 1969 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

ანზორ ჭლიკაძემ შრომითი საქმიანობა დაიწყო 1969 წელს საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა ინჟინრად, სექტორის გამგედ და განყოფილების გამგედ. 1985-1987 წლებში იყო ხილბოსტნეულის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, 1987-1988 წლებში — საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, 1988-1991 წლებში — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კვებაროომატ-კომპლექსის“ გენერალური დირექტორი.

1991 წლის თებერვლიდან დღემდე ანზორ ჭლიკაძე საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მინისტრია.

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრი

გრიგოლ გრიგოლის ძე გოგავა

დაიბადა 1937 წელს თბილისში, ქართველია, 1961 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი მშენებელი ინჟინრის სპეციალობით.

1961-1963 წლებში გრიგოლ გოგავა მუშაობდა ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს ინჟინრად, 1963-1965 წლებში — საშენ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს ინჟინრად. მომდევნო სამი წელი პარტიულ სამუშაოზე იყო.

1968-1988 წლებში გრიგოლ გოგავა იყო საწარმოო გაერთიანება „საქენერგოს“ სპეციალური სარემონტო-სამშენებლო ტრესტის მმართველი, 1988 წლიდან დღემდე — „საქენერგოს“ გენერალური დირექტორის მოადგილე.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრი

კახი შალვას ძე ასათიანი

დაიბადა 1947 წელს ქ. თელავში, ქართველია, 1973 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

კახი ასათიანი ცნობილი სპორტსმენი და მწვრთნელია. იგი თერთმეტი წლის მანძილზე იცავდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ღირსებას, შედიოდა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

1976-1977 წლებში იგი იყო მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა უმაღლესი სკოლის მსმენელი. 1978-1984 წლებში იყო თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი. 1985-1991 წლებში — სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

1991 წლის მარტში კახი ასათიანი დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის დირექტორად.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

იმ დღეებშიც...

სტიქია არ გვინდობს. იმ დღეებში ბევრმა გაუწოდა დახმარების ხელი მისგან დაზარალებულთ. ერთეულებმა კი, სამწუხაროდ, სხვისი უბედურებით ხელის მოთბობაც სცადეს. ამიტომაც რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის უმაღლესი სკოლიდან (უფროსი — მილიციის გენერალ-მაიორი გივი კვანტალიანი) რამდენიმე ასეული გაიგზავნა დაზარალებულ რაიონებში. ადრე, სპიტაკის მიწისძვრის დროს, მილიციის მსმენელებმა გარკვეული გამოცდილება შეიძინეს ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენს დაზარალებულ სოფლებში ამ სახის დანაშაული, მართალია, არა იმ მასშტაბით, მაგრამ საკმაოდ გავრცელებული გახლდათ. არაერთი მძიმე დანაშაული იქნა რეგისტრირებული. მაგალითად, საჩხერეში ძარცვა, ქურდობა, ადამიანის გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით. ამიტომაც აქ შექმნილი თავდაცვის საგანგებო შტაბი მიზნად ფსიქოლოგიურად ისედაც დაძაბული მოსახლეობის დამნაშავეთაგან დაცვას, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფას ისახავდა. სკოლის მსმენელები ეროვნულ გვარდიასთან ერთად ძირითადად ღამის 20 საათიდან დილის 6 საათამდე მორიგეობდნენ. მათ არაერთი ქურდი, მძარცველი გამოავლინეს.

ამბროლაურის რაიონში მსმენელებს სამი ძირითადი საგუშაგო ჩაებარეს — ქუთაისის მხრიდან მომავალი გზა, ტყიბულისა და ონის მხრიდან შემოსასვლელი გზები. პირველსავე დღეს გაირკვა, რომ აქაც როგორც ჩამოსული, ისე ადგილობრივი „მრუდე ხელის“ პატრონები დათარეშობდნენ.

სკოლის მსმენელებმა საკმაო რაოდენობით ამოიღეს მითვისებული საქონელი, გატაცებული პროდუქტები და საგანგებო შტაბს ჩაბარეს.

მილიციის სკოლიდან წარგზავნილებმა თავი გამოიჩინეს ჭიათურასა და ონის რაიონშიც. აი, არასრული სია ამ მსმენელებისა: ბესიკ და კახა კალმახელიძეები, ზ. კერესელიძე, ზ. ყიფიანი, დ. არჩვაძე, ა. ქათამაძე, ა. ბარსონიძე, ა. გოჩელაშვილი, მერაბ ლიპარტია, სოსო ბერიაშვილი, ედიშერ ხიდაშელი, კობა აბულაძე, ავთო გაიმარჯვაშვილი და სხვანი.

გადაწყვეტილია, მილიციის უმაღლეს სკოლაში ჩაბარებისას გარკვეული შეღავათი გაეწიოთ დაზარალებული რაიონების წარმომადგენლებს.

ნინო ქოჩორაშვილი
რუსუდან ბრიგალაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიწვევთ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

ნაპოლეონ ქარქაშაძე — საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი.

მისაღები გამოცდების სიახლეები განაპირობა აგრარული უნივერსიტეტის ჩამოყალიბებამ. დღემდე არსებულმა სასოფლო-სამეურნეო განათლების სისტემამ თავისი მისია შეასრულა იმით, რომ ამზადებდა სპეციალისტებს ძველი რეჟიმის მოთხოვნების შესაბამისად.

სწორედ წარსული, დამყაყებული სისტემის რღვევისათვის იყო საჭირო აგრარული უნივერსიტეტის შექმნა, რომელიც შეძლებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას აგრარული კადრების მომზადებაში. ვფიქრობთ, ეს საშუალებას მოგვცემს სასოფლო-სამეურნეო განათლება მივუახლოვოთ საზღვარგარეთის მოწინავე სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებს.

წელს მიღებას ვაცხადებთ აგრონომიულ სპეციალობაში, რომელიც მოამზადებს არა სწავლულ აგრონომებს, როგორც დღემდე იყო, არამედ აგრონომ-ბიოლოგებს, რომელთაც ექნებათ ღრმა თეორიული მომზადება თანამედროვე ბიოლოგიაში, ისინი მარტო აგრო-ტექნიკოსები კი არ იქნებიან, არამედ მეცნიერ-მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ მცენარისა და ნიადაგის, როგორც ცოცხალი ორგანიზმების მართვას.

საინჟინრო ფაკულტეტებზე მოვამზადებთ მაღალკვალიფიციურ ინჟინრებს, არა მარტო ექსპლუატაციასა და რემონტში, როგორც დღემდე იყო, არამედ ტექნიკის კონსტრუირებაშიც. აქ კი თეორიული მექანიკის ღრმა ცოდნაა საჭირო.

ეკონომიკურ ფაკულტეტზე მოვამზადებთ როგორც აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომისტ-ორგანიზატორებს, აგრეთვე მსოფლიოს სოფლის მეურნეობის ეკონომისტ-ორგანიზატორებსაც, რომლებსაც ზედმიწევნით ეცოდინებათ მარკეტინგი, მსოფლიოს სავაჭრო ფასების მექანიზმი და ორი უცხო ენა მაინც. ბუღალტრების ნაცვლად მოვამზადებთ ბუღალტერ-ფინანსისტებს, რომლებიც გარკვეულნი იქნებიან საბანკო სისტემებში და შეძლებენ მათ მართვას.

საუნივერსიტეტო განათლება იქნება ხუთწლიანი, ცხადია, შეიცვლება სასწავლო პროგრამებიც. განთავისუფლდება იგი მიტმასნებული, იმპერიული იდეოლოგიის მომსახურე საგნებისაგან.

თვით მისაღები გამოცდების სიახლეები ჩამოყალიბებულია საინსტრუქციო წერილში, რომელიც სახალხო განათლების სამინისტრომ შეიმუშავა. აღარ იქნება წერითი სამუშაოების დაშიფვრა, შემოღებულია შეფასების 10-ბალიანი სისტემა, რაც შეეხება შიგასაუნივერსიტეტო სიახლეებს, იგი შემდეგში მდგომარეობს: ყველა სპეციალობაზე, როგორც წესი, ჩაბარდება ოთხი საგანი. ყველა აბიტურიენტი, რომელიც გამოცდაზე შემოვა, დაფიქსირდება ვიდეო-კამერით იმისათვის, რომ გამოვრიცხოთ „სხვის მაგივრად“ ჩაბარება. მთელი დატვირთვით იმუშავებენ საპრეტენზიო კომისიები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ იქნება პრეტენზიები, მათ დაევალებათ თავიანთი ინიციატივით, შერჩევითი წესით გადასინჯონ გასწორებული ნამუშევრები.

გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებისათვის დიდად შეგვიწყობს ხელს უზენაესი საბჭოს შესაბამისი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეღავათების მოსპობის შესახებ. აქვე საჭიროა აღვნიშნოთ ისიც, რომ თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება წარმოებიდან ხელშეკრულებით მოვლინებულთ. ყველა საკითხს წყვეტს უშუალოდ მიმღები კომისია, ზემდგომი ორგანოების ჩარევის გარეშე. ეს, ცხადია, დიდი პასუხისმგებლობაცაა.

აქვე მინდა განვაცხადო იმის შესახებ, რომ არც ერთი აბიტურიენტი არ ჩაირიცხება მისაღები კონტინგენტის ზევით და ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებულია მიმღები კომისიის სხდომაზე, ხოლო კონკურსი ჩატარდება სპეციალობების და მისანიჭებელი კვალიფიკაციების მიხედვით.

დაბოლოს, მინდა მივმართო ყველა იმას, ვისაც სურს სწავლა გააგრძელოს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში: იყავით ობიექტურები ჩვენი საქმიანობის შეფასებაში, ნუ აყვებით ემოციებს, გვერწმუნეთ, რომ ჩვენთან თქვენ დაგხვდებათ მაქსიმალური ობიექტურობისა და თანადგომის ატმოსფერო, ჩვენი დევიზია „განახლებულ საქართველოს ღირსეული სპეციალისტები“. თქვენც უნდა შეგვიწყოთ ხელი ამ დიდი მისიის შესრულებაში.

გამოცდებამდე...

მისაღებ გამოცდებამდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დარჩა...

აბიტურიენტთა მღელვარება დღითიდღე მატულობს, იბადება უამრავი კითხვა, მოგვმართავენ წერილობით, არ წყდება სატელეფონო ზარის ხმა... ჩვენ დღეიდან შეძლებისდაგვარად შევეცდებით გაზეთის ყველა მომდევნო ნომერში ადგილი დავუთმოთ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს, რომლებიც მისაღები გამოცდების სიახლეებზე გვესაუბრებიან:

გვაქვს სიახლე-ებიც

გოჩა ჩოგოვაძე — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ჩვენ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, სრულად გვაქვს გააზრებული, თუ რამდენად დიდია რესპუბლიკის საზოგადოებრიობის ინტერესი მისაღები გამოცდებისადმი, რის გამოც ჯერ კიდევ გასული წლის 11 ოქტომბრის „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა ჩემი წერილი „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ემზადება 1991 წლის მისაღები გამოცდებისათვის“. დღეს კი, როდესაც ერთი თვეღა დარჩა მისაღებ გამოცდებამდე, მინდა ყურადღება გავამახვილო ძირითად სიახლეებზე.

წელს რიგ ახალ სპეციალობებზე გვექნება მიღება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს დამოუკიდებელ ეკონომიკურ ცხოვრებაზე გადასვლას და მრეწველობაში მოსალოდნელ სტრუქტურულ ცვლილებებს. ეს სპეციალობებია: ეკონომიკა და მართვა სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსთა დარგებში; ქიმიურ-სატყეო დარგების ეკონომიკა და მართვა, ტრანსპორტის ეკონომიკა და მართვა; საფრენი აპარატების და ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია; საფრენი აპარატების და ძრავების საფრენოსნო ექსპლუატაცია; ავტომობილების ეკოლოგიური უსაფრთხოება; კვების საწარმოთა მანქანები და აპარატები; მერქნის დამუშავების ტექნოლოგია; სამთო მანქანები და მოწყობილობა ქალაქის მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისათვის; გეოლოგიური ობიექტების კომპიუტერული მოდელირება. გარდა ამისა წელს პირველად განხორციელდება მიღება დღის სწავლების ფორმაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალში მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიისა და სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობებზე.

ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ეროვნული თავისუფლების პირობებში ძალზე გაიზარდა საერთაშორისო კონტაქტების როლი და მნიშვნელობა. უცხოეთის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებთან მჭიდრო კონტაქტში გვესახება ჩვენ ქართული ტექნიკური ინტელიგენციის მომავალი თაობის აღზრდის ეფექტური გზა. ამ მიზნით წელს დაგეგმილი გვაქვს სტუდენტთა მიღება ინგლისურენოვან სექტორზე — კავშირგაბმულობის ფაკულტეტის მრავალარხიანი ელექტრო-კავშირგაბმულობის სპეციალობაზე და ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების სპეციალობაზე. ამ სექტორზე სასწავლო პროცესს წარმართავენ ის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ ინგლისურ ენაზე შესაბამისი საგნების სწავლების გამოცდილება გასულ წლებში საზღვარგარეთის ქვეყნებში ხანგრძლივი პედაგოგიური მივლინებების დროს. ინგლისურ სექტორზე შემსვლელები პირველ გამოცდას, ინგლისურ ენას, ზეპირი ფორმით ჩააბარებენ საბუთების მიღების პერიოდის დამთავრებამდე, რათა იმ აბიტურიენტებმა, რომლებიც ვერ მიიღებენ დადებით შეფასებას ინგლისურ სექტორზე შესასვლელად, შეძლონ საბუთების შეტანა სხვა სექტორის მათთვის სასურველ სპეციალობაზე. მისაღები გამოცდების პერიოდში კი ინგლისურ სექტორზე შემსვლელები აბარებენ ჩვეულებრივად ოთხ გამოცდას და მათ შორის ქართული ენასა და ლიტერატურას.

სიახლეები გვაქვს თვით მისაღები გამოცდების სფეროშიც. წელს ჩვენთან მისაღები გამოცდების რაოდენობა გაიზარდა. ასეთ გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ყოველწლიურად მისაღები კონტინგენტის შემცირების ტენდენციამ, რამაც აუცილებლად უნდა უზრუნველყოს ინჟინრების მომზადების ხარისხის გაუმჯობესება.

მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის მომზადება დღეს უკვე აბიტურიენტთა პროფესიული ორიენტაციის მიხედვით შერჩევას მოითხოვს. სხვაგვარად პროფესიონალი სპეციალისტის მომზადება ძნელად განსახორციელებელია. ამიტომ მისაღები გამოცდების ჩამონთვალში თითო საგანი ისეა შერჩეული, რომ გამოვლინდნენ არჩეული სპეციალობებისადმი გარკვეული მიდრეკილების მქონე ახალგაზრდები. ასეთი საგნებია: არქიტექტურის ფაკულტეტზე შემსვლელთათვის — აკვარელი; სამშენებლო, ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის, მექანიკა-მანქანათმშენებლობის და სატრანსპორტო ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის — ხაზვა; ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის და კავშირგაბმულობის ფაკულტეტებზე — ინფორმატიკა; მეტალურგიულ და გეოლოგიურ ფაკულტეტებზე შემსვლელები ჩააბარებენ მისაღებ გამოცდას ქიმიაში, ხოლო რიგ ფაკულტეტებზე გათვალისწინებულია მათემატიკაში მისაღები გამოცდები წერითი და ზეპირი ფორმებით.

წელს, გასული წლებისაგან განსხვავებით ყველა ვაჟმა აბიტურიენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს ეროვნული არმიისადმი დამოკიდებულების მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი. ეს იქნება აუცილებელი მოთხოვნა მისაღებ გამოცდებზე დაშვების საკითხის განხილვის დროს.

საერთოდ კი მისაღებ გამოცდებზე დაშვების საკითხი მაქსიმალურად გამარტივებულია. აღარ არსებობს შეზღუდვა წლოვანების მიხედვით, გარდა სპეციალობისა საფრენი აპარატების და ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია, სადაც მიიღებიან მხოლოდ ვაჟები 35 წლის ასაკამდე, ხოლო საფრენი აპარატების და ძრავების საფრენოსნო ექსპლუატაციის სპეციალობაზე კი 17-22 წლის ასაკამდე. ასევე საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფორმებზე შემსვლელთათვის აღარაა აუცილებელი სპეციალობის შესაბამისი პროფილთა მუშობა.

წინა წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად უმკაცრესი კონტროლისა, მაინც ახერხებს ზოგიერთი აბიტურიენტი ეგრეთ წოდებული „კასკადიორის“ საშუალებით თავის დაძვრენას ობიექტური შეფასებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი შემთხვევების აღკვეთისათვის ჩვენ სპეციალურად ჩავატარეთ მუშაობა, გამოცდების პერიოდში მაინც აღინიშნებოდა ზემოთხსენებული „კასკადიორების“ არსებობა. იმისათვის, რომ სრულად აღმოგვეფხვრა მათი კვალი ჩვენს უმაღლეს სკოლაში, მთელი სასწავლო წლის მანძილზე გრძელდებოდა მათი „აღმოჩენისათვის“ მუშაობა. წინა წლებში გამოყენებულმა ტექნიკურმა საშუალებებმა მაქსიმალურად შეამცირეს „კასკადიორებისა“ და მათი დამქირავებლების „წარმატებები“, ხოლო წელს ჩვენმა დიდმა გამოცდილებამ ამ საქმეში და ტექნიკური საშუალებების სრულყოფამ მაქსიმალურად უნდა გამორიცხოს მსგავსი შემთხვევები.

მისაღები გამოცდები წელსაც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ყოველმხრივ იქნება აღჭურვილი იმ ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც სრულად გააშუქებს მისაღები გამოცდების პერიპეტიებს და სრულ წარმოდგენას მისცემს საზოგადოებას მის ობიექტურობაზე. ყოველი დაინტერესებული პირი ამ ტექნიკური საშუალებების დახმარებით თვითმხილველი იქნება ამ პროცესის საჯაროობისა.

პეტრე-პავლოზის მარხვა

„საშოთხისა ნაუოფი შჭამოთ, ხისა მისგან ცნობისა კეთილისა და ბოროტისა არა შჭამოთ“ (დაბ. 2. 16. 17).

მარხვა ადამიანს სჭირდება სულის განსაწმენდად. ამისათვის ღმერთმა ლოცვა და მარხვა დაგვიდგინა. მაგრამ მარხვა პირველებმა სწორედ ღმერთის მიერ შექმნილმა ადამმა და ევამ დაარღვიეს, შეჭამეს აკრძალული ხილი და დაკარგეს ხორციელი უკვდავება.

მარხვა კავშირია ღმერთთან. იესო ქრისტემ ორმოცი დღე-ღამე იმარხულა უდაბნოში და სწორედ ამის გამო დაწესდა წინასაღდგომო მარხვა.

პეტრე-პავლობის მარხვის ხანგრძლივობა კი ცვალებადია: მისი დასაწყისი უკავშირდება სულთმოფენობის დღესასწაულს, ხოლო მთავრდება 12 ივლისს — პეტრე-პავლობის დღესასწაულზე. მარხვის დროს იკრძალება ხორციელი, რძის ნაწარმი, კვერცხი. შეიძლება პურის, მარცვლეულის, ხილის, ბოსტნეულის, თაფლის ჭამა. საჭმელები უნდა მომზადდეს მცენარეულ ზეთზე, შეიძლება ნიგვზიანი საჭმელებიც. რაც შეეხება თევზს, იგი მართალია, სამარხო საჭმელად ითვლება, მაგრამ მძიმე მარხვის

შემთხვევაში მისგან თავი უნდა შეიკავოთ. ასევეა ღვინოც. მარხვაში მისი მიღება მხოლოდ შაბათ-კვირას შეიძლება. მარხვის ხიმკაცრეს განსაზღვრავს ადგილობრივი ეკლესია, ჩვენი მოძღვარი.

ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს საპატრიარქომ გამოსცა წიგნი „სამარხო კერძები“. მასში დაბეჭდილია ქართული და ევროპული სამარხო საჭმელები. ამ წიგნში უნიკალური რეცეპტებია დღეს უკვე შეიწყალებული ისეთი ხალხური კერძებისა, როგორიცაა ხმელი ლობიოს შეჭამანდი, შვინდის, ღოლოს, მწვანილის შეჭამანდი, ტყემლის ჭრიანტელი, ისრიმის შეჭამანდი, სატაცური წვენთან, ბალბა, არაჭაკელი, ჭინჭარი, გოგრის მხალი და გუფთა, ჭაბები ხახვისა, ქონდრისა და სხვა. ეს წიგნი ეკლესიებში იყიდება ხელმისაწვდომ ფასებში. მას ახლავს ძველი ხანონსაწყაული ერთიელის ცხრილიც. უნდა გვახსოვდეს მთავარი — საჭმელისაგან თავის შეკავება მარხვის მხოლოდ პირველი ეტაპია, დაბალი საფეხურია. ჭეშმარიტი მარხვა გულისხმობს სულიერი და ხორციელი ცდუნებებისაგან თავის შეკავებას. მარხვის დროს ადამიანი ჭეშმარიტად უნდა განიწმინდოს სულიერადაც და ხორციელადაც, მხოლოდ მაშინ მოგვეცემა ღვთიური მადლი. „თვალნი ყოველთანი შენდამი ეხვენ, უფალო, და შენ ჰრბინ მათ საზრდელი ყოველსა ჟამსა. აღაღებ შენ ხელსა შენსა, და განაძღებ ყოველსა ცხოველსა ნებისმიერ შენისა. ამინ!“

ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი, 2010 წელი

ნაწყვეტი წერილების ციკლის დასკვნითი ნაწილიდან

ის, რომ არიან საქართველოში პოლიტიკური ძალები, რომელიც თავს თავისუფლებისთვის ბრძოლის პარლამენტად აცხადებენ ბოლშევიკთა, რეალურად, ოფიციალურად, რომ ასეთ ოფიციალურ აზსოლუტურ უმცირესობაში არიან. ამისი დამტკიცია საქართველოში ჩატარებული ბრალდებულების არჩევნები, რეფერენდუმი და პრეზიდენტის არჩევნები, რომელშიც ამგვე საქართველოს მოსახლეობამ თითქმის ორმოცდაათ პროცენტზე მეტი მიიტანა ნაციონალ. ბალშევიკ. ბლოკის, ანუ ეროვნ. ფრონტის, ოფიც. ბანდიტების ოფიც. ბანდიტ. ბლოკის ალიანსებზე, რომ ოფიციალურად ეს ალიანსები ეროვნ. ფრონტ. ბანდიტ. ბლოკ. ალიანსებად ეწოდებოდა. ეს ალიანსები ეროვნ. ფრონტ. ბანდიტ. ბლოკ. ალიანსებად ეწოდებოდა,

ი. სტალინმა თავისი ოცდაცხრაწლიანი სისხლიანი დიქტატურა ისე გაატარა, რომ ქუჩაში თოფი არ გაუსვრია. მისი სიკვდილის შემდეგ დასუსტებული რეჟიმი იძულებული გახდა ქუჩის მასობრივი სისხლიანი რეპრესიებისათვის მიემართა. პირველი ასეთი რეპრესია ჩატარდა თბილისში 1956 წლის 9 მარტს. ამის შემდეგ მსგავსი რეპრესიები გრძელდება: ბუდაპეშტი, ნოვოჩერკასკი, ისევ თბილისი, ბაქო, ვილნიუსი. ყველას ვინ ჩამოთვლის! ამ რეპრესიებს თავისი ტაქტიკა და თავისი კანონზომიერებები აქვს. ჯერ ამ ტაქტიკის და პროვოკაციათა ორგანიზაციის ამ მეთოდების ანალიზი არავის უცდია. ნ. ნათაძის ბროშურა „სისხლიანი პარასკევი“ 1956 წლის 9 მარტის ღლეტის აღწერასაც შეიცავს და იმის ანალიზსაც, თუ როგორ ჩაატარა ეს ღლეტა და მისი მოსამზადებელი პროვოკაცია იმდროინდელმა მთავრობამ.

ნ. ნათაძე იმ სისხლიანი დღის უშუალო მონაწილეა. მისი ანგარიშით, მსხვერპლის რაოდენობა იყო 500-დან 1200 კაცამდე. ავტორს პირუთვნელი რეალიზმით აღწერილი აქვს ყველაფერი ისე, როგორც მოხდა, სამხედრო მოსამსახურეთა სისასტიკის ჩათვლით, რომელთაც, ავტორის სიტყვით, „უხაროდათ სროლა“.

ბროშურის ფასია 2 მანეთი.

მთელი შემოსავალი მოხმარდება საქართველოს სახალხო ფრონტის პატრიოტულსა და საქველმოქმედო პროგრამებს.

თამარ გომართელის შემოქმედებითი საღამო

ეს საღამო, რომელიც პროფკავშირების კულტურის სასახლეში გაიმართა, გამოირჩეოდა გულთბილობით, პატივისცემით იმ ადამიანისადმი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე მშობელი ხალხის, მისი საუკუნეებში ფესვგადგმული ხალხური შემოქმედების დაუშრომელი მსახურია. ეს გახლავთ ქალბატონი თამარ გომართელი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მწერალი, ჟურნალისტი და თეატრმცოდნე.

მისხალ-მისხალ, წლიდან წლამდე სად აღარ ეძიებდა და რუდუნებით აგროვებდა მასალებს ქალბატონი თამარი ხარფუხის, ნაძალადევის, ავჭალისა და სხვა, თავის დროზე ერთობ პოპულარული, თანამედროვეთათვის საქმოდ უცნობი სახალხო თეატრების შესახებ. მისმა კლასმა დავიწყებას გამოსტაცა და გააცოცხლა ქართული კულტურის მსახურთა მივიწყებული სახელები.

თამარ გომართელის ინტერესების წრე მარტო ხალხური თეატრებით არ შემოიფარგლება. იგი 20 წლის მანძილზე ჟურნალ „ხელოვნებაში“ ხალხური შემოქმედების განყოფილებას ხელმძღვანელობდა, დაუცხრომელ პროპაგანდას უწევს ქართულ კულტურას. ამაზე მეტყველებს მისი 500-მდე სტატია და წერილი, 14 წიგნი, მათ შორის — „ნაძალადევის მუშათა თეატრი“, ორტომეული „სახალხო თეატრების ფარდებთან“, „ბილიკები ხელოვნების მწვერვალებისაკენ“, „პოლიტექნიკური ინსტიტუტი“, ისინი მწერლისა და ჟურნალისტის ხანგრძლივი კვლევა-ძიების ნაყოფია.

ქალბატონი თამარის ღვაწლის დაფასების გამოხატულება იყო ეს საღამოც, რომელიც პროფკავშირების კულტურის სასახლის მეთოდიკურმა საბჭომ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა საკრებულომ გამართეს.

თამარ გომართელის შემოქმედებითი პორტრეტი შეკრებილთ გააცნო ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა ნადია შალუტაშვილმა.

შეხვედრაზე ამაგდარ ქალს მიესალმნენ ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდიკური ცენტრის დირექტორი ცისანა ქოჩიჩაშვილი, გაზეთ „მოძღვრის“ რედაქტორი ლამარა გიორგაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა საკრებულოს თავმჯდომარე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ციალა სვანიძე, უნივერსიტეტის ერთი მსახიობის პუბლიცისტური თეატრის ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თინათინ ელაქიძე და სხვები.

საღამოზე სცენები სპექტაკლებიდან წარმოადგინეს ტექნიკური და აგრარული უნივერსიტეტების, ნაძალადევის სახალხო თეატრების მსახიობებმა. ქალბატონ თამარს მიუძღვნეს ლექსები ლამარა ჯაველმა, ლია ციბაძემ, ლამარა ყურულაშვილმა, ხოლო რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ეთერ კაკულიამ და კომპოზიტორმა რუსუდან სეფისკვერაძემ — სიმღერა ნანა ღვინეფაძის ლექსზე „ამეთვისტოს თვალი“ — „ისე ამოგარჩიე ათი ათას ქალში“.

საღამო დაამშვენეს საქართველოს სახალხო არტისტის ნათელა მკერვალიძის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების მედეა ფანიაშვილის, ნანული აბესაძის, კომპოზიტორისა და მომღერლის ნუნუ დუღაშვილის, გიული ნარუსლაშვილის, მსახიობ მამუკა პავლიაშვილის, გრიგოლ ქსოვრელის ხელმძღვანელობით მედუდუკეთა ანსამბლის, პატარა ნინო მუმლაძის და სხვათა და სხვათა გამოსვლებმა.

საღამოს უძღვებოდა საქართველოს სახალხო არტისტი კოტე მახარაძე.

მიუხედავად წლების სიმრავლისა, მხცოვანი ქალბატონი კვლავ შემოქმედებითი მუშაობის ზენიტშია. ახლახან მკითხველმა მიიღო მისი ახალი წიგნი „თეთრი ტაძრის ასი მზე“, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის ქალთა საკრებულოს წევრ ას მშვენიერ მანდილოსანს — პროფესორებს, დოცენტებს, მასწავლებლებს, უნივერსიტეტის თანამშრომლებს ეძღვნება. სულ მალე გამოვა თამარ გომართელის ორი ახალი წიგნი „ცისფერი მედალიონები“ და „თბილისის აშუღები“.

ეს საღამო, რომელიც პროფკავშირების კულტურის სასახლეში გაიმართა, გამოირჩეოდა გულთბილობით, პატივისცემით იმ ადამიანისადმი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე მშობელი ხალხის, მისი საუკუნეებში ფესვგადგმული ხალხური შემოქმედების დაუშრომელი მსახურია. ეს გახლავთ ქალბატონი თამარ გომართელი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მწერალი, ჟურნალისტი და თეატრმცოდნე.

სურათებზე: თამარ გომართელი; მწერლისა და ჟურნალისტის საღამო.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

ნინო თათრულაიძე,
საქინფორმის კორესპონდენტი

იახტა „კოლხეთი“ მიემგზავრება თურქეთის საერთაშორისო რეგატაზე



თურქეთის აფროსნობის ფედერაციის და სტამბოლის საზღვაო ნაოსნობის იახტ-კლუბის მოწვევით ქარიული აფროსნობის ისტორიაში წელს პირველად საკრეისერო-სპორტული იახტა „კოლხეთი“ — დამოუკიდებელი საქართველოს დროშით წარსდგება — „აღმოსავლეთ ეგეოსის ზღვის აფროსნობის კვირეულზე.“ ეს საერთაშორისო სპარეზობა იმართება ყოველწლიურად ზემოთ ნახსენები ორგანიზაციების თაოსნობით და მასში მონაწილეობას ღებულობენ თურქეთის, იტალიის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, ბულგარეთის და რუმინეთის აფროსნები.

ეგეოსის ზღვის აფროსნობის კვირეული სტარტს იღებს ქ. სტამბულში ამა წლის 11 ივლისს და ტარდება ხუთი ცალკეული რბოლისაგან. პირველი ეტაპი სტამბოლი — ქ. ჩესმა (ეგეოსის ზღვაში) — ეს არის ყველაზე დიდი და რთული ეტაპი, რომელიც მოიცავს 280 საზღვაო მილს (დაახლოებით 520 კმ). მოასპარეზე ნავებმა უნდა გაიარონ მარმარილოს ზღვა — გვერდი აუარონ მიმობნეულ მრავალ კუნძულებს, გაიარონ დიდი და პატარა გემებით ძალზე გადატვირთული საზღვაო მოძრაობის ტრასა, რომელიც აკავშირებს ხმელთაშუა ზღვის და შავი ზღვის ქვეყნებს; გაიარონ ვიწრო დარდანელის სრუტე და გავიდნენ ეგეოსის ზღვაში; გაიკვლიონ გზა მთელ რიგ ბერძნულ და თურქულ კუნძულებს შორის და ღუზა ჩაუშვან სამხრეთ-დასავლეთ თურქეთის ერთ-ერთ საკურორტო ქალაქ ჩესმეს „ოქროს დელფინის“ იახტ-კლუბში.

16 ივლისიდან 21 ივლისამდე ჩესმეს აკვატორიაზე ტარდება 20 საზღვაო მილის სიგრძის სამი რბოლა (ოლიმპიური ანუ ტრადიციული სამკუთხედი მარშრუტის) და აქვე ჩატარდება ერთი საზღვაო რბოლა 80 საზღვაო მილის სიგრძის (მარშრუტით: ჩესმე-ფოხა-ჩესმე).

ყოველ ცალკეულ რბოლაში გამარჯვებული ნავი ჯილდოვდება თასებით. გარდა ამისა, რეგატის დამთავრებისას ხუთი რბოლის ჯამში გამარჯვებულ ეკიპაჟს გადაეცემა „აღმოსავლეთ ეგეოსის ზღვის აფროსნობის კვირეულის“ თასი — შეჯიბრების ძირითადი პრიზი.

იახტა „კოლხეთი“ პირველად მიიღებს ამ შეჯიბრში მონაწილეობას. იგი აგებულია პოლონეთში 1975 წელს და ამჟამად ეკუთვნის ფოთის პორტს. 1975-90 წლებში „კოლხეთი“ ძირითადად შავი ზღვის საბჭოთა სანაპირო პორტებში მოგზაურობდა, რადგანაც ვერა და ვერ მოხერხდა სასაზღვრო-საფინანსო ბიუროკრატიული სიძნელეების გადალახვა სასაზღვარგარეთ გასვლისათვის. მხოლოდ 1990 წელს, საქართველოს საზღვაო სანაოსნოსა და პირადად, მისი უფროსის, ბატონ ჯემალ ჭიღვარიის უშუალო მხარდაჭერით „კოლხეთმა“ მონაწილეობა მიიღო იუნესკოს ეგიდით ჩატარებულ „აბრეშუმის დიდი გზის“ პროგრამაში და იმოგზაურა მარშრუტით: ფოთი-სტამბოლი-პირკა-გენუა-ფოთი. გაიარა 12000 კილომეტრამდე. „კოლხეთის“ უცვლელი კაპიტანია სპორტის ოსტატი თამაზ ზოიძე — საქართველოს აფროსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. ეკიპაჟის წევრებს შორის ვეტერან აფროსნებთან ერთად ახალგაზრდა სპორტსმენებიც არიან, რომლებიც შესანიშნავ საზღვაო პრაქტიკას გაივლიან.

„აღმოსავლეთ ეგეოსის ზღვის აფროსნების კვირეულში“ მონაწილეობა „კოლხეთისათვის“ შესანიშნავი შესაძლებლობა იქნება მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს თურქეთის და აგრეთვე, შავი და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების აფროსნებთან და ფედერაციებთან, რათა მომზადდეს ნიადაგი საქართველოს აფროსნობის ფედერაციის გაწევრიანებისათვის საერთაშორისო აფროსნობის ფედერაციაში.

„კოლხეთი“ 26-27 ივნისს გადის ფოთის პორტიდან. ამჟამად კი მიმდინარეობს წინასამოგზაურო მზადება და სანამ შეჯიბრების სტარტს მიაღწევდეს, ეკიპაჟმა უნდა გადაკვეთოს შავი ზღვა ფოთი-ტრაპიზონი-სამსონი-სტამბოლი (100 კილომეტრი) მარშრუტით, რაც თავისთავად, ეკიპაჟის დიდი გამოცდა და შესანიშნავი ვარჯიში იქნება.

თურქეთის საერთაშორისო რეგატას დიდი გამოხმაურება აქვს ადგილობრივ და მონაწილე ქვეყნების პრესასა და ტელევიზიაში. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია შეჯიბრების კომერციული მხარეც. მონაწილე ნავების კორპუსები აპრელებულია მათი სპონსორების—სხვადასხვა ფირმების, კომპანიების, კონცერნების დასახელებებით, რომლებიც რეკლამირებას უწევენ თავიანთ პროდუქციას და რომლებიც მთლიანად აფინანსებენ მონაწილე ეკიპაჟებს.

„კოლხეთის“ მონაწილეობა თურქეთის საერთაშორისო რეგატაზე შესაძლებელი გახდა საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრის ბატონ კახი ასათიანის უშუალო ინიციატივით და „კოლხეთის“ ეკიპაჟი სიამოვნებით დაუთმობს ადგილს თურქეთან ურთიერთობით დაინტერესებულ ორგანიზაციებს ბორტზე თავიანთი სახელის რეკლამირებისათვის და მათთვის საინტერესო კონტაქტების დამყარებისათვის.

თურქეთის საერთაშორისო რეგატაზე მონაწილე ქვეყნების დროშებს შორის საქართველოს რესპუბლიკის დროშის გამოჩენა დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მის ეკიპაჟს და მისი თითოეული წევრი მზად არის გააკეთოს ყველაფერი, რომ ღირსეულად ატაროს ჩვენი რესპუბლიკის ალამი!

ილია ფერაძე
„კოლხეთის“ კაპიტნის თანაშემწე

რედაქციისაგან: როგორც ვხედავთ, ქართველ აფროსნებს წინ ბევრი ბოროტული გამოცდა ელით და ვეჭვერ, რომ ამ შორეულ მოგზაურობაში ღირსეულად დაიცავენ რესპუბლიკის პრესტიჟს. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, ეუსურვებთ რა წარმატებას „კოლხეთის“ ეკიპაჟს, ერთხელ მაინც მივმართავთ ცალკეულ პირებსა თუ კოოპერატივებს, ერთობლივ საწარმოებსა თუ ორგანიზაციებს, ყველას მათ, ვინაც სურთ საქმიანი ურთიერთობანი დაამყარონ თურქეთის სხვადასხვა საქმიან წრეებთან და ნუ დაკარგავენ დროს. ვფიქრობთ, თქვენს მიერ წარმოებული პროდუქციის სახელწოდების გამოჩენა „კოლხეთის“ ბორტზე, შესანიშნავი რეკლამა იქნება. არ დაგვიწყდეთ — ეს წარწერები გამოჩნდება თურქეთისა და ხმელთაშუაზღვის ქვეყნების ტელეეკრანებზე, ანუ რომ ნუ გაუშვებთ ხელიდან საკუთარი პროდუქციის რეკლამის ასეთ შესანიშნავ შანს. დაწვრილებითი ცნობებისთვის შეგიძლიათ დარეკოთ: 36-51-91 (21 ივნისამდე).

ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის ბაზაზე არსებული თბილისის № 164 ქიმიურ-ფარმაცევტული სასწავლებელი

იღებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობაზე.

ქიმიურ-ფარმაცევტული წარმოების ფარმაციის პროფილის ფელდშერატი.

სასწავლებელში გასაუბრებით ბარიერებთან 30 წლამდე ასაკის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული.

სწავლების ვადა 1 წელი.

სწავლების პერიოდში მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას თვეში 70 მანეთს და საწარმოო სწავლების დროს ჯამომუშავებული თანხის 50%. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გაანაწილდებიან თბილისის, ბათუმის და ახმეტის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხნებში.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების მოწმობა (დედანი);

2. დაბადების მოწმობა (დედანი);

3. დასახიათება;

4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;

5. 6 ცალი ფოტოსურათი 3X4;

6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286).

საბუთები მიიღება ყოველდღე 9 საათიდან 17 საათამდე, გარდა კვირისა.

ჩვენი მისამართი — თბილისი ეროხთავის ქ. № 2-ა (ყოფილი მაგნიტოგორსკის ქ.) ტელეფონი: 34-11-29.

ჩემპიონია უნივერსიტეტი

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, საქართველოს კალათბურთის ფედერაცია გამოეყო საკავშიროს და დამოუკიდებლად არსებობის პირველ დღეებს ითვლის. პირველი ოფიციალური ტურნირი, რომელიც მისი ეგიდით ჩატარდა, იყო თბილისის ჩემპიონატი. იგი მიმდინარეობდა 6-12 ივნისს ვერის პარკში მდებარე ბავშვთა კალათბურთის სასახლეში და მასში მონაწილეობას იღებდნენ დედაქალაქის საუკეთესო გუნდები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელებმა დაუმარცხებლად ჩატარეს შეჯიბრება და ჩემპიონის სახელი მოიპოვეს.

მათ პირველი შეხვედრა თავიანთ ძველ მეტოქესთან — ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდთან ჩაატარეს. შეხვედრა უაღრესად საინტერესოდ წარიმართა და მისი ბედი მხოლოდ დამატებით დროში გადაწყდა. მატჩის მიწურულს, როდესაც ტექნიკურ უნივერსიტეტს მიჰყავდა ანგარიში, თავი გამოიჩინა თსუ-ს ვეტერანმა გია ბერუაშვილმა. მან საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე გათანაბრა ანგარიში, რაც შემდგომ მოგების საწინდარი გახდა. თამაში დამთავრდა ანგარიშით 101:97.

არანაკლებ დაძაბული აღმოჩნდა მატჩი ფიზიკულტურის ინსტიტუტის გუნდთან, რომლის შემადგენლობაშიც უნდა აღინიშნოს მ. კობეშავიძის, დ. დადიანის, ა. ფერიაშვილის, შ. უძილაურის უაღრესად გააზრებული და ტექნიკური თამაში. შეხვედრის ბედი კვლავ ბოლო წუთებზე გადაწყდა, როდესაც მამუკა ტურაშვილმა და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა პრესინგის წყალობით რამდენჯერმე ჩაჭრეს მოწინააღმდეგის გადაცემა და სამქულიანი სროლებით შვიდი ქულით დააწინაურეს თავისი გუნდი.

უნივერსიტეტმა შემდეგი შეხვედრებიც აღმავლობით ჩაატარა და დაამარცხა სპორტკლუბი „მერანი“, თბილისის აგრარული უნივერსიტეტი, „მართვე“ და „ნორი დინამოელი“.

უნივერსიტეტელები კი ტურნირზე ასეთი შემადგენლობით გამოდიოდნენ: გ. ბერუაშვილი, ნ. ჩერქეზიშვილი, დ. ტალაბაძე, გიგა და კახა ქართველიშვილები, მ. ახვლედიანი, მ. ტურაშვილი, დ. შარაძე, ი. ბაქრაძე, ლ. ბაქრაძე, კ. ჯორბენაძე და გ. შუხოშვილი. მათ ტრავმის გამო აკლდათ ნ. კოკოლიშვილი და ლ. რევაზიშვილი, რომელთა ოსტატობა უეჭველად გამოადგებოდა გუნდს.

ახლა უნივერსიტეტელები ერთგული ჩემპიონატისთვის ემზადებიან. გუნდს წვრთვნიან ნუგზარ მარკოიშვილი და გია ჯავახიშვილი. სპონსორობას კი უწევს მეურნეობა „ვარკეთილი“.

მარიკა მელქაძე.
ხათუნა ლომაძე

სურათზე: თბილისის ჩემპიონი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი.

მრავალდარგოვანი მცირე სახელმწიფო საწარმო „ბივ“ გთავაზობთ

საიმედოს, ექსპლუატაციაში ძალულებითი ჭმედების

ბეტონსარევებს

წვრილი საკედლე ბლოკების წარმოებისათვის. ბეტონსარევების წარმადობაა 10 მ³ მზა ბეტონი საათში.
დანადგარის შეძენა შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით.

მისამართი: ქ. თბილისი 380086. ჯიქიას ქუჩა, № 9 (№ 2 ავტობუსის ბოლო გაჩერება). IV სართული. ოთახი 401, 402.
მიღება ყოველდღე 14-დან 17 საათამდე. შაბათისა და კვირის გარდა.

კოოპერატიული ფირმა „ადონისი“ გთავაზობთ ვიზების სწრაფ თარგმნას, ვიზების თარგმნა და დამოწმება ხდება ერთ დღეში. აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ და შეავსოთ გამგზავრებისათვის საჭირო ანკეტები, ფირმა მდებარეობს ლესელიძის ქუჩა № 29-ში (სამხედრო კომბინატის ტერიტორიაზე).

საქართველოს ერთიანი ჩემპიონატი ფეხბურთში

მდგომარეობა 20 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ
„იბერია“ (თბილისი)	17	13	4	0	38-4	43
„გურია“ (ლანჩხუთი)	17	12	4	1	29-12	40
„ცხუმი“ (ხოხუმი)	17	9	3	5	33-21	30
„ბათუმი“ (ბათუმი)	17	9	2	6	24-17	29
„ქუთაისი“ (ქუთაისი)	17	9	2	6	31-28	29
„კოლხეთი-1913“ (ფოთი)	17	8	3	6	24-18	27
„ოდიში“ (ზუგდიდი)	17	8	2	7	30-21	26
„მარგვეთი“ (ზესტაფონი)	17	8	2	7	28-26	26
„გორდა“ (რუსთავი)	17	7	4	6	31-17	25
„ალაზანი“ (გურჯაანი)	17	7	1	9	23-30	22
„დილა“ (გორი)	17	6	3	8	23-28	21
„სულორი“ (ვანი)	17	6	3	8	27-34	21
„სამგურალი“ (წყალტუბო)	17	6	3	8	18-28	21
„მერცხალი“ (ოზურგეთი)	17	6	1	10	19-28	19
„შევარდენი-1906“ (თბილისი)	17	5	4	8	26-23	19
„მზიური“ (გალი)	17	5	4	8	19-26	19
„ამირანი“ (ოჩამჩირე)	17	4	5	8	22-29	17
„კოლხეთი“ (ხობი)	17	4	4	9	22-29	16
„ხანავარდი“ (სამტრედია)	17	4	4	9	16-39	16
„ივერია“ (ხაშური)	17	4	2	11	11-36	14

კომერციული ცენტრი



თქვენი საქმიანი პარტნიორი

ესაა ორგანიზაციებისა და კერძო პირების მიერ ნედლეულის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის, მანქანა-დანადგარების, შემოქმედებითი შრომის პროდუქციის რეალიზაციისა და შეძენის ოპერატიული შესაძლებლობა.
საქმიანი ადამიანისათვის აუცილებელი ინფორმაციის ფართო ქსელი, კომპიუტერული კავშირი სასაქონლო ბირჟებთან და კომერციულ ცენტრებთან. ბროკერული მომსახურეობა და კონტაქტების სწრაფად გაფორმების შესაძლებლობა.

თქვენს სამუშაო ადგილზე ნებისმიერ პუნქტში კომპიუტერის ან ფაქსის საშუალებით ინფორმაციული და კომერციული მომსახურების უზრუნველყოფა.
რეგიონებში ფილიალების შექმნის შესაძლებლობა.

ჩვენი მისამართია თბილისი. შევჩენკოს 6.
ტელ. 98-78-49 ან 98-78-47.
ფაქსი (883-2) 98-81-86.
ტელექსი 212149 BIRGA SU.



კაპიტალ-ბანკი

საიმედო გარანტი, თქვენი თანხების დაბანდების და ფულის ინფლაციისაგან დაცვის საუკეთესო საშუალება.
კომპლექსური საბანკო მომსახურება.
იჩქარეთ, გახსოვდეთ, დრო ოქროა.
თბილისი. შევჩენკოს 6.
ტელ.: 98-78-49 ან 98-78-47.

ლორეტანება ორგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალიანსი“ და ამავე ორგანიზაციის ფირმა „ორგო“.

დაივიწყეთ ყველაფერი, რაც აქამდე ბირჟების შესახებ გსმენიათ!

სააქციონერო საზოგადოება საქართველოს უნივერსალურ ბირჟას შეუძლია შეცვალოს არა მარტო თქვენი წარმოდგენა ბირჟებზე, არამედ აქციონერთა მუშაობისა და ცხოვრების სტილიც.

ძნელი დასაჯერებელია?
გავეცნოთ რამდენიმე ფაქტს:

ჩვენში არსებული ანალოგიური სტრუქტურებისაგან განსხვავებით, მოიცავს არა მარტო საბირჟო სამსახურებს, არამედ თავისებური საინვესტიციო ბანკიც იქნება. იგი სიამოვნებით დააფინანსებს სხვადასხვა მიმართულებებს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში; ახალ, საინტერესო და მომგებიან ტექნოლოგიებს.

სააქციონერო საზოგადოების საწესდებო ფონდი შეადგენს 20 მილიონ მანეთს.

აქციის ღირებულებაა 10 ათასი და 50 ათასი მანეთი.

ჩვენი ანგარიშის ნომერია 000161103 კომერციული ბანკი „დრო“
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის საოპერაციო სამმართველო, კოდი 521006.

ჩვენი აქცია მფლობელისათვის მოგების გარანტიაა.

საქციონერო საზოგადოება საქართველოს უნივერსალური ბირჟის მისამართებია: რუსთაველის გამზირი 42, გამომცემლობა „მერანი“, I სართული, ფირმა „არდიექსის“ ოფისი; ფალიაშვილის ქ. 85 კავკასიის მინერალური წყლების ინსტიტუტი, III სართული, ოთახი 309.
ტელეფონები: 294-931, 230-837

სარეკლამო სააგენტო **„რეზონანსი“**

აბითურიენტთა და მათი მშობლების საყურადღებოდ!

სამკურნალო კოოპერაციული ფირმა „ფანასაქერტელი“ აცნობებს რესპუბლიკის მოსახლეობას, რომ ა/წ 19 ივნისიდან იწყება აბითურიენტთა მიზნობრივი ფსიქოლოგიური მომზადება მისაღები გამოცდებისათვის.

აბითურიენტები გაივლიან სპეციალურ ანტისტრესულ მკურნალობას. ფსიქოთერაპიული სეანსების სრული კურსის ჩატარების შემდეგ (15-17 სეანსი) აბითურიენტებს დაეუფლებათ სრული სიმშვიდე, გაუქრებათ გამოცდებზე გასვლის ყოველგვარი შიში, დაუბრუნდებათ საკუთარი თავის, საკუთარი შესაძლებლობების და შეძენილი ცოდნის რწმენა, გაუქრებათ ნერვიულობა. ისინი თავისუფლად შესძლებენ ჩაბარონ ზეპირი და წერითი გამოცდები და მშვიდად უპასუხონ გამომცდელის ყოველგვარ შეკითხვებს.

ჩვენო მომავალო სტუდენტებო!

ასეთი დახმარებისათვის მიმართეთ ცნობილ ფსიქოთერაპევტს **გივი მაზმიშვილს.**

მისამართი: ჭადრაკის სასახლე (ვერის პარკი).

დაწვრილებით ცნობებს მიიღებთ ადგილზევე ან ტელეფონით: 99-77-36.

მცირე სამრეწველო საწარმო «სხივი»

დაგთავაზოთ სახსრებს და დროს თუ მცირე სამრეწველო საწარმო „სხივი“-ის საშუალებით შეიძენთ:

საქარხნო ხაზებს, მანქანა დანადგარებს, კომპიუტერულ ტექნიკას, ფართო მოხმარების საქონელს საბითუმო რაოდენობით; ლაზერულ შრიფტებს (ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე).

მოგიმზადებთ: წიგნების, ჟურნალების, გაზეთის ორიგინალ მაგეტებს (ქართული შრიფტების გარნიტურა განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია); ორიგინალური დიზაინით ფირმის ემბლემას, ინდივიდუალურ სავიზიტო ბარათებსა და ნებისმიერი ტიპის ბლანკებს.

შეგიძლიათ: ლაზერული შრიფტების თქვენთვის სასურველ გარნიტურებსა და ზომებს; პროგრამებს ენებზე: ASSEMBLER, C, PASCAL, BASIC და სხვა; ქართულ ენაზე მონაცემთა ბაზების მართვის თანამედროვე სისტემებს: ISIS, R:base, d:BASE, FOX:Base, აგრეთვე თქვენთვის სასურველ ინფორმაციულ ბანკებს; წარმოება-დაწესებულებებისათვის დამფუძნებელ დოკუმენტაციას.

შეგიკეთებთ: კომპიუტერულ, ელექტრულ და ნებისმიერი ტიპის ციფრულ ტექნიკას.

ჩვენი ფასები საბაზროზე დაბალია, მომსახურება სწრაფი.

მოხაშვილის ქ. 24
მცირე სამრეწველო საწარმო „სხივი“
ტელეფონები : 22-69-15, 22-69-12

ვიქირავებ ერთ ან ოროთახიან იზოლირებულ, კეთილმოწყობილ, ტელეფონიან ბინას ქალაქის ცენტრალურ რაიონებში (სასურველია მეტროსთან ახლოს).
ტელ: 93-20-76 18^{00}სთ-დან 21^{00}სთ-მდე.

ფირმა „ფორტუნა“ დაინტერესებულ პირებს სთავაზობს საჭელი იარაღების (სიმტკიცის 10-ჯერ გაზრდის მიზნით), საიუველირო ნაწარმის, ბიჟუტერიის, კბილის „კარონკების“, პლასტმასის ნაკეთობების ნიტროტანით (ოქროსფრად) და სხვა ნივთიერებებით დაფარვას მაგნიტრონული მეთოდით.
ტელეფონი: 61-74-50
ნ 61-74-80

საწარმოებს, ორგანიზაციებს, კოოპერატივებსა და მცირე საწარმოებს

კოოპერატივი „ინტელექტი“ გთავაზობთ დოკუმენტების პაკეტს, რომელიც საშუალებას მოგცემთ სწორი საგადასახადო ურთიერთობა დაამყაროთ სახელმწიფო ბიუჯეტთან, თავიდან აიცილოთ როგორც ზედმეტი გადარიცხვები, ასევე საგადასახადო ინსპექციის სანქციები. პაკეტი მოიცავს სხვადასხვა სახელმძღვანელო დოკუმენტებს ეკონომიკის სფეროში, რომლებიც ძალაშია მიმდინარე წლის დასაწყისიდან და რეკომენდაციებს მათი გამოყენების შესახებ. პაკეტის ღირებულებაა — 125 მან. საჭიროების შემთხვევაში გაგიწევთ კონსულტაციას. ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონით: 95-81-56.

კოოპერატივი „ინტელექტი“ მოგაწვდით კომპლექსურად ორ ქსეროქსზე (A4) — ცალი 32,5 ათასი მანეთი, ერთ იაპონურ ვიდეომოწყობილობას — 5 ათას მანეთად.
მისამართი: პასტერის ქ. №5/7.
ტელეფონი: 95-81-05.

ფირმა „ჰუმანიზმი“ სერვისბიუროში მაღალი ანაზღაურებით სამუშაოდ იწვევს ბავშვების, მოხუცების, ავადმყოფების მომვლელებს, დამლაგებლებს. მუშაობა შეუძლიათ პენსიონერებსაც.
მუშაობა ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად.
მისამართი: ლერმონტოვის ქ.№19
ტელ: 93-20-76 10^{00}სთ-დან 18^{00}სთ-მდე.

დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ!

ფირმა „ლილე“-ს დიზაინისა და გაფორმების საწარმო იწვევს მუდმივ სამუშაოზე შენობა-ნაგებობის შიდა ინტერიერის გაფორმებისათვის ხელოსნებს: დურგლებს, მლესავებს, მღებავებს, შემდუღებლებს, ელექტრიკოსებს, ზეინკლებს და დამხმარე მუშებს.

ანაზღაურება საკმაოდ მაღალია, რომელიც იწარმოებს ხელშეკრულებით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

იჩქარეთ ჩვენი მისამართია: ა. წერეთლის გამზირი 73ᵃ
ელფოსტა: 34-29-23, 35-30-07

იყიდება

ბუფეტი და მაგიდა 6 სკამით (კაკლის).
ტელეფონი: 71-30-01.

ვყიდი

ახალ ავტომანქანა ზილ-ს, როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით ქ.ზუგდიდში.
ტელ: 2-30-84 ზუგდიდში
39-45-60 თბილისში

ხალვაშრომა ვერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მიხალები — 93-97-81;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-81-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

ბაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საბჭოთა ლეხი“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ნაგაზეთი კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქტორი
ვერაპ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.